

შპს „მიკაძო ჯორჯია“

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ინფორმაცია

დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნასთან ერთად

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა

2017 წლის 31 დეკემბერს

შინაარსი:

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა.....	3
--------------------------------------	---

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ინფორმაცია:

ფინანსური მდგომარეობის სპეციალური დანიშნულების ინფორმაცია.....	5
მოგება ან ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის სპეციალური დანიშნულების ინფორმაცია	6
კაპიტალში ცვლილების სპეციალური დანიშნულების ინფორმაცია	7
ფულადი სახსრების მოძრაობის სპეციალური დანიშნულების ინფორმაცია	8

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ინფორმაციის განმარტებითი შენიშვნები:

1. ზოგადი ინფორმაცია	9
2. სპეციალური დანიშნულების ფინანსური ინფორმაციის მომზადების საფუძველი	9
3. სპეციალური დანიშნულების ფინანსური ინფორმაციის ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა.....	10
4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები	19
5. ძირითადი საშუალებები	20
6. საინვესტიციო ქონება.....	21
7. არამატერიალური აქტივები	21
8. მარაგები.....	22
9. საგადასახადო აქტივი	22
10. საიჯარო და სხვა მოთხოვნები	22
11. ფული და ფულის ეკვივალენტები	23
12. საწესდებო კაპიტალი	23
13. მიღებული სესხები	23
14. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები.....	24
15. შემოსავალი მომსახურების გაწევიდან.....	24
16. ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი.....	24
17. სხვა საოპერაციო ხარჯები.....	25
18. პოტენციური ვალდებულებები	25
19. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა	26
20. კაპიტალის მართვა	29
21. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან.....	29
22. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები	30

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „მიკადო ჯორჯიას“ მენეჯმენტსა და მფლობელებს

უარი მოსაზრების გამოთქმაზე

ჩვენ დაგვიქირავეს შპს „მიკადო ჯორჯიას“ (შემდგომში კომპანია) სპეციალური დანიშნულების ფინანსური ინფორმაციის აუდიტის ჩასატარებლად, რომელიც შედგება 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული სპეციალური დანიშნულების ფინანსური მდგომარეობის ინფორმაციისგან, ასევე აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სპეციალური დანიშნულების სრული შემოსავლის ინფორმაციის, სპეციალური დანიშნულების საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ინფორმაციისა და სპეციალური დანიშნულების ფულადი ნაკადების ინფორმაციისგან, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისა და სხვა განმარტებითი ინფორმაციისგან.

ჩვენ არ გამოვთქვამთ მოსაზრებას კომპანიის სპეციალური დანიშნულების ფინანსური ინფორმაციის შესახებ. ჩვენი დასკვნის - „მოსაზრების გამოთქმაზე უარის საფუძველი“ - ნაწილში აღწერილი საკითხების მნიშვნელობის გამო, ვერ შევძელით საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვება, თანდართული სპეციალური დანიშნულების ფინანსური ინფორმაციის შესახებ აუდიტორული მოსაზრების გამოსათქმელად აუცილებელი საფუძვლის შესაქმნლად.

მოსაზრების გამოთქმაზე უარის საფუძველი

როგორც ეს მე-13 შენიშვნაშია მოცემული, კომპანიას აქვს მიღებული სესხი შპს „პრივატოფისისგან“ ღირებულებით 59,230,621 ლარი და 61,854,544 ლარი 2017 წლის 31 დეკემბრისა და 1 იანვრის მდგომარეობით, შესაბამისად. ჩვენ ვერ შევძელით მოგვეპოვებინა საკმარისი და აუცილებელი აუდიტორული მტკიცებულება აღნიშნული სესხის ვადის, საპროცენტო ხარჯის, გადაფასებისა და ნაშთის სისწორის შესახებ აღნიშნულ თარიღებში. გარდა ამისა, კომპანიამ ვერ შეძლო მოეწოდებინა საკმარისი და შესაფერისი ინფორმაცია, თუ რამდენად შეძლებს კომპანია საქმიანობის გაგრძელებას ფუნქციონირებად საწარმოდ თუ შპს „პრივატოფისი“ მოითხოვს აღნიშნული ვალის დაბრუნებას. შესაბამისად არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს ბადებს კომპანიის უნართან დაკავშირებით, საქმიანობა განაგრძოს, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ.

კომპანიის ძირითადი საშუალებებისა და საინვესტიციო ქონების ღირებულება 2017 წლის 31 დეკემბრისა და 1 იანვრის მდგომარეობით არის 23,592,635 და 24,636,085 ლარი, შესაბამისად. ჩვენ ვერ შევძელით აღნიშნული აქტივებში შემავალი უძრავი ქონების (ღირებულებით 23,279,170 და 24,213,122 ლარი 2017 წლის 31 დეკემბრისა და 1 იანვრის მდგომარეობით) ისტორიული ღირებულების დადასტურება პირველადი დოკუმენტაციის საფუძველზე. შედეგად, ჩვენ ვერ შევძელით განგვესაზღვრა საჭირო იყო თუ არა რაიმე კორექტირების განხორციელება ძირითად საშუალებებთან და საინვესტიციო ქონებასთან დაკავშირებით, ასევე ფინანსური ანგარიშგებების სხვა შემადგენელ ელემენტებთან დაკავშირებით.

ჩვენ ვერ დავესწარით ძირითადი საშუალებებისა და მარაგების ინვენტარიზაციას 2017 წლის 31 დეკემბრისა და 1 იანვრის მდგომარეობით, რადგან აღნიშნული თარიღები წინ უსწრებდა ჩვენი, როგორც აუდიტორებად დანიშვნის თარიღს - 2018 წლის 4 აპრილს. კომპანიის ჩანაწერების ბუნებიდან გამომდინარე, ჩვენ ვერ შევძელით მიგვეღო აუცილებელი და შესაფერისი მტკიცებულები ძირითადი საშუალებებისა და მარაგების რაოდენობების და მათ ფიზიკურ მდგომარეობასთან დაკავშირებით ალტერნატიული აუდიტორული პროცედურების ჩატარებით. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ძირითადი საშუალებები, გარდა მიწისა და შენობა-ნაგებობისა, 2017 წლის 31 დეკემბრისა და 1 იანვრის მდგომარეობით წარმოდგენილია, შესაბამისად 328,816 და 444,335 ლარის ღირებულებით. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მარაგები 2017 წლის 31 დეკემბრისა და 1 იანვრის მდგომარეობით წარმოდგენილია, შესაბამისად 96,083 და 64,022 ლარის ღირებულებით. შედეგად, ჩვენ ვერ შევძელით განგვესაზღვრა საჭირო იყო თუ არა რაიმე კორექტირების განხორციელება ძირითად საშუალებებთან და მარაგებთან დაკავშირებით, ასევე ფინანსური ანგარიშგებების შემადგენელ სხვა ელემენტებთან დაკავშირებით.

განსაკუთრებული გარემოებების ამსახველი აზრები

ჩვენ ყურადღებას ვამახვილებთ სპეციალური დანიშნულების ფინანსური ინფორმაციის მე-2 შენიშვნაზე, რომელიც აღწერს, რომ წინამდებარე სპეციალური დანიშნულების ფინანსური ინფორმაცია მომზადებულია იმ მიზნით, რომ მენეჯმენტმა მოამზადოს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისი პირველი ფინანსური ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის. აღნიშნული გარემოებიდან გამომდინარე ჩვენი მოსაზრება არ არის მოდიფიცირებული.

ჩვენ ასევე ყურადღებას ვამახვილებთ სპეციალური დანიშნულების ფინანსური ინფორმაციის მე-15 შენიშვნაზე, რომელიც აღწერს კომპანიის მიერ მიღებულ შემოსავალს ბიზნეს სეგმენტების მიხედვით. უნდა აღინიშნოს, რომ მთლიანი შემოსავლიდან (3,949,224 ლარიდან) 2,127,480 ეკუთვნის დაკავშირებულ მხარეს. აღნიშნული გარემოებიდან გამომდინარე ჩვენი მოსაზრება არ არის მოდიფიცირებული.

ხელმძღვანელობისა და მართვის უფლებით აღჭურვილ პირთა პასუხისმგებლობა სპეციალური დანიშნულების ფინანსურ ინფორმაციაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული სპეციალური დანიშნულების ფინანსური ინფორმაციის მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე, შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი სპეციალური დანიშნულების ფინანსური ინფორმაციის მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ინფორმაციის მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირების უნარი და აუცილებლობის შემთხვევაში, სპეციალური დანიშნულების ფინანსური ინფორმაციის შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და სპეციალური დანიშნულების ინფორმაციის საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მართვის უფლებით აღჭურვილი პირები პასუხისმგებელნი არიან კომპანიის სპეციალური დანიშნულების ფინანსური ინფორმაციის მომზადების პროცესს გაუწიონ ზედამხედველობა.

აუდიტორის პასუხისმგებლობა სპეციალური დანიშნულების ფინანსური ინფორმაციის აუდიტზე

ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ კომპანიის სპეციალური დანიშნულების ფინანსური ინფორმაციის აუდიტი ჩავატაროთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად და გავცეთ აუდიტორის დასკვნა. თუმცა, ჩვენი დასკვნის - „მოსაზრების გამოთქმაზე უარის საფუძველი“ - ნაწილში აღწერილი საკითხების გამო, ვერ შევძელით საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვება, თანდართულ სპეციალური დანიშნულების ფინანსურ ინფორმაციაზე აუდიტორული მოსაზრების გამოსათქმელად აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

ჩვენ დამოუკიდებელი ვართ კომპანიისგან იმ ეთიკის ნორმების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენს მიერ ჩატარებულ სპეციალური დანიშნულების ფინანსური ინფორმაციის აუდიტს; გარდა ამისა შევასრულეთ ამ ნორმებით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც.

გარიგების პარტნიორი, რომელიც პასუხისმგებელია აუდიტზე, რომლის შედეგებიც ასახულია დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნაში, არის:

ივანე ჟუჟუნაშვილი

გარიგების პარტნიორი

თბილისი, საქართველო

14 აგვისტო, 2018 წელი

განსაკუთრებული გარემოებების ამსახველი აზრები

ჩვენ ყურადღებას ვამახვილებთ სპეციალური დანიშნულების ფინანსური ინფორმაციის მე-2 შენიშვნაზე, რომელიც აღწერს, რომ წინამდებარე სპეციალური დანიშნულების ფინანსური ინფორმაცია მომზადებულია იმ მიზნით, რომ მენეჯმენტმა მოამზადოს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისი პირველი ფინანსური ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის. აღნიშნული გარემოებიდან გამომდინარე ჩვენი მოსაზრება არ არის მოდიფიცირებული.

ჩვენ ასევე ყურადღებას ვამახვილებთ სპეციალური დანიშნულების ფინანსური ინფორმაციის მე-15 შენიშვნაზე, რომელიც აღწერს კომპანიის მიერ მიღებულ შემოსავალს ბიზნეს სეგმენტების მიხედვით. უნდა აღინიშნოს, რომ მთლიანი შემოსავლიდან (3,949,224 ლარიდან) 2,127,480 ეკუთვნის დაკავშირებულ მხარეს. აღნიშნული გარემოებიდან გამომდინარე ჩვენი მოსაზრება არ არის მოდიფიცირებული.

ხელმძღვანელობისა და მართვის უფლებით აღჭურვილ პირთა პასუხისმგებლობა სპეციალური დანიშნულების ფინანსურ ინფორმაციაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული სპეციალური დანიშნულების ფინანსური ინფორმაციის მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე, შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი სპეციალური დანიშნულების ფინანსური ინფორმაციის მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ინფორმაციის მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირების უნარი და აუცილებლობის შემთხვევაში, სპეციალური დანიშნულების ფინანსური ინფორმაციის შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და სპეციალური დანიშნულების ინფორმაციის საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მართვის უფლებით აღჭურვილი პირები პასუხისმგებელნი არიან კომპანიის სპეციალური დანიშნულების ფინანსური ინფორმაციის მომზადების პროცესს გაუწიონ ზედამხედველობა.

აუდიტორის პასუხისმგებლობა სპეციალური დანიშნულების ფინანსური ინფორმაციის აუდიტზე

ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ კომპანიის სპეციალური დანიშნულების ფინანსური ინფორმაციის აუდიტი ჩავატაროთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად და გავცეთ აუდიტორის დასკვნა. თუმცა, ჩვენი დასკვნის - „მოსაზრების გამოთქმაზე უარის საფუძველი“ - ნაწილში აღწერილი საკითხების გამო, ვერ შევძელით საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვება, თანდართულ სპეციალური დანიშნულების ფინანსურ ინფორმაციაზე აუდიტორული მოსაზრების გამოსათქმელად აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

ჩვენ დამოუკიდებელი ვართ კომპანიისგან იმ ეთიკის ნორმების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენს მიერ ჩატარებულ სპეციალური დანიშნულების ფინანსური ინფორმაციის აუდიტს; გარდა ამისა შევასრულეთ ამ ნორმებით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც.

გარიგების პარტნიორი, რომელიც პასუხისმგებელია აუდიტზე, რომლის შედეგებიც ასახულია დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნაში, არის:

ივანე ჟუჟუნაშვილი

გარიგების პარტნიორი

თბილისი, საქართველო

14 აგვისტო, 2018 წელი



შპს „მიკადო ჯორჯია“

ფინანსური მდგომარეობის სპეციალური დანიშნულების ინფორმაცია

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ლარში)

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2017	1 იანვარი 2017
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	5	5,167,606	5,374,482
საინვესტიციო ქონება	6	18,425,029	19,261,603
არამატერიალური აქტივები	7	272,666	316,098
სულ გრძელვადიანი აქტივები		23,865,301	24,952,183
მოკლევადიანი აქტივები			
მარაგები	8	96,083	64,022
საგადასახადო აქტივი	9	183,993	143,326
საიჯარო და სხვა მოთხოვნები	10	5,471,758	6,806,862
ფული და ფულის ეკვივალენტები	11	3,338,344	1,020,397
სულ მოკლევადიანი აქტივები		9,090,178	8,034,607
სულ აქტივები		32,955,479	32,986,790
საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები			
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	12	200	200
დაგროვილი ზარალი		(26,438,143)	(28,993,199)
სულ კაპიტალი		(26,437,943)	(28,992,999)
ვალდებულებები			
მოკლევადიანი ვალდებულებები			
მიღებული სესხები	13	59,230,621	61,854,544
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	14	162,801	125,245
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		59,393,422	61,979,789
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		32,955,479	32,986,790

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ინფორმაცია 2017 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის, მენეჯმენტის მხრიდან 2018 წლის 14 აგვისტოს დამტკიცებულია შემდეგი პირის მიერ:

დირექტორი

მთავარი ბუღალტერი





9-30 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს ფინანსური ინფორმაციის განუყოფელ ნაწილს.

შპს „მიკადო ჯორჯია“

ფინანსური მდგომარეობის სპეციალური დანიშნულების ინფორმაცია

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ლარში)

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2017	1 იანვარი 2017
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	5	5,167,606	5,374,482
საინვესტიციო ქონება	6	18,425,029	19,261,603
არამატერიალური აქტივები	7	272,666	316,098
სულ გრძელვადიანი აქტივები		23,865,301	24,952,183
მოკლევადიანი აქტივები			
მარაგები	8	96,083	64,022
საგადასახადო აქტივი	9	183,993	143,326
საიჯარო და სხვა მოთხოვნები	10	5,471,758	6,806,862
ფული და ფულის ეკვივალენტები	11	3,338,344	1,020,397
სულ მოკლევადიანი აქტივები		9,090,178	8,034,607
სულ აქტივები		32,955,479	32,986,790
საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები			
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	12	200	200
დაგროვილი ზარალი		(26,438,143)	(28,993,199)
სულ კაპიტალი		(26,437,943)	(28,992,999)
ვალდებულებები			
მოკლევადიანი ვალდებულებები			
მიღებული სესხები	13	59,230,621	61,854,544
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	14	162,801	125,245
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		59,393,422	61,979,789
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		32,955,479	32,986,790

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ინფორმაცია 2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის, მენეჯმენტის მხრიდან 2018 წლის 14 აგვისტოს დამტკიცებულია შემდეგი პირის მიერ:

დირექტორი

ე. უსტინოვი

მთავარი ბუღალტერი

თ. ფასიშვილი

9-30 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს ფინანსური ინფორმაციის განუყოფელ ნაწილს.

შპს „მიკადო ჯორჯია“

მოგება ან ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის სპეციალური დანიშნულების ინფორმაცია

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2017 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

	შენიშვნა	2017
შემოსავალი მომსახურების გაწევიდან	15	3,949,224
ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი	16	(606,926)
ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯი	5, 6, 7	(1,183,656)
სხვა საოპერაციო ხარჯები	17	(1,012,691)
საოპერაციო მოგება		1,145,951
საპროცენტო ხარჯი, წმინდა		(5,306)
საკურსო სხვაობიდან შემოსავალი, წმინდა		1,414,411
მოგება დაბეგვრამდე		2,555,056
მოგების გადასახადის ხარჯი		-
საანგარიშგებო წლის წმინდა მოგება და სხვა სრული შემოსავალი		2,555,056

9-30 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს ფინანსური ინფორმაციის განუყოფელ ნაწილს.

შპს „მიკადო ჯორჯია“

კაპიტალში ცვლილების სპეციალური დანიშნულების ინფორმაცია

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2017 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ
1 იანვარი 2017	200	(28,993,199)	(28,992,999)
საანგარიშგებო წლის წმინდა მოგება და სხვა სრული შემოსავალი	-	2,555,056	2,555,056
31 დეკემბერი 2017	200	(26,438,143)	(26,437,943)

9-30 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს ფინანსური ინფორმაციის განუყოფელ ნაწილს.

შპს „მიკადო ჯორჯია“

ფულადი სახსრების მოძრაობის სპეციალური დანიშნულების ინფორმაცია

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2017 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

	შენიშვნა	2017
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან		
მოგება დაბეგვრამდე:		2,555,056
კორექტირებები:		
ცვეთა და ამორტიზაცია		1,183,656
საპროცენტო ხარჯი, წმინდა		5,306
კურსთაშორისი სხვაობიდან წარმოშობილი წმინდა მოგება		(1,414,411)
ფულადი სახსრების შემოსვლა საოპერაციო საქმიანობიდან		2,329,607
აქტივებისა და ვალდებულებების ცვლილებამდე		
შემცირება/(ზრდა) საოპერაციო აქტივებში:		
მარაგები		(32,061)
სავაჭრო და სხვა მოთხოვნა		1,334,836
საგადასახადო აქტივი		(40,667)
შემცირება/(ზრდა) საოპერაციო ვალდებულებებში:		
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები		44,081
ფულადი სახსრების შემოსვლა საოპერაციო საქმიანობიდან		3,635,796
დაბეგვრამდე და პროცენტამდე		
პროცენტის დაფარვა		(5,307)
წმინდა ფულადი სახსრების შემოსვლა საოპერაციო საქმიანობიდან		3,630,489
ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან:		
ძირითადი საშუალებების შეძენა		(96,774)
საინვესტიციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი სახსრები		(96,774)
ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან:		
სესხის დაფარვა		(1,411,124)
წმინდა ფულადი სახსრების გასვლა საფინანსო საქმიანობიდან		(1,411,124)
ფულისა და ფულის ეკვივალენტების წმინდა ზრდა		2,122,591
ფულადი სახსრები წლის დასაწყისთვის		1,020,397
უცხოური ვალუტის ცვლილების ეფექტი ფულად სახსრებზე		195,356
ფულადი სახსრები წლის ბოლოს		3,338,344

9-30 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს ფინანსური ინფორმაციის განუყოფელ ნაწილს.

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „მიკადო ჯორჯია“ (შემდეგ - კომპანია) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც დაფუძნდა 2007 წლის 20 ივნისს თბილისში, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანია დარეგისტრირებულია თბილისის საგადასახადო ინსპექციის მიერ, საიდენტიფიკაციო ნომრით 202393551.

კომპანიის ძირითადი საქმიანობაა არასაცხოვრებელი უძრავი ქონების იჯარა, ასევე რუსთავის ავტობაზრობის მიმდებარე ტერიტორიაზე რესტორნისა და სასტუმროს სერვისი და სპეციალური დანიშნულების საბაჟო ზონის მომსახურება.

კომპანიას გააჩნდა 1 ოფისი 2017 წლის 31 დეკემბრისა და 1 იანვრის მდგომარეობით.

კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, ქ. რუსთავი, დოსააფის მიმდებარე ტერიტორია.

2017 წლის 31 დეკემბრისა და 1 იანვრის მდგომარეობით, კომპანიის 100%-იანი წილის მფლობელია შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „მიკადო ინვესტმენტს ლიმიტედი“. კომპანიის საბოლოო ბენეფიციარია სერგეი მელნიკი. კომპანიის დირექტორია ევგენი უსტინოვი.

კომპანიის საწესდებო კაპიტალის შესახებ დამატებითი ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ მე-12 განმარტებით შენიშვნაში.

2. სპეციალური დანიშნულების ფინანსური ინფორმაციის მომზადების საფუძველი

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ინფორმაციის შესაბამისობა

აღნიშნული სპეციალური დანიშნულების ფინანსური ინფორმაცია მომზადებულია იმ მიზნით, რომ მენეჯმენტმა მოამზადოს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისი პირველი ფინანსური ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის. ფასს-ებზე გადასვლის თარიღამდე კომპანიას არ მოუზადია ფინანსური ანგარიშგება რაიმე მოთხოვნების შესაბამისად.

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ინფორმაციის მოსამზადებლად მენეჯმენტმა გამოიყენა იმ სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების, ფაქტებისა და გარემოებების, სააღრიცხვო პოლიტიკის საუკეთესო ცოდნა, რომელსაც კომპანია გამოიყენებს, როდესაც მოამზადებს ფასს-ების სრულად შესაბამის პირველ ფინანსურ ანგარიშგებას 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. მიუხედავად იმისა, რომ სპეციალური დანიშნულების ფინანსური ინფორმაცია დაფუძნებულია მენეჯმენტის მიერ სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების, მიმდინარე ფაქტებისა და გარემოებების საუკეთესო ცოდნაზე, ის შეიძლება შეიცვალოს. მაგალითად, სააღრიცხვო სტანდარტების საერთაშორისო საბჭომ შესაძლოა გამოუშვას დამატებები და ცვლილებები სტანდარტებსა და ინტერპრეტაციებზე. შესაბამისად, სანამ კომპანია პირველად მოამზადებს ფასს-ის სრულად შესაბამის ფინანსურ ანგარიშგებას და განსაზღვრავს გადასვლის თარიღს ფასს 1-ის შესაბამისად, სპეციალური დანიშნულების ფინანსური ინფორმაციის ცვლილების შესაძლებლობა ვერ გამოირიცხება.

რადგან ფასს-ზე გადასვლის თარიღი არის 2017 წლის 1 იანვარი, სპეციალური დანიშნულების ფინანსური ინფორმაცია, რომელიც მომზადებულია 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, არ მოიცავს წინა პერიოდის შესადარის მონაცემებს. შესაბამისად, აღნიშნული სპეციალური დანიშნულების ფინანსური ინფორმაცია არ ითვალისწინებს კომპანიის ფინანსური ანგარიშგების სრული კომპლექტის წარდგენას.

სპეციალური დანიშნულების ფინანსურ ინფორმაციაში თანხები წარდგენილია დამრგვალების გარეშე, თუ სხვაგვარად არაა მითითებული.

მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები, რომლებიც გამოყენებულია აღნიშნული სპეციალური დანიშნულების ფინანსური ინფორმაციის მომზადებისას მოცემულია მე-3 განმარტებით შენიშვნაში.

2. სპეციალური დანიშნულების ფინანსური ინფორმაციის მომზადების საფუძველი (გაგრძელება)

შეფასების საფუძველი

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ინფორმაცია მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე.

კომპანია ოპერაციებს აღრიცხავს და სპეციალური დანიშნულების ფინანსურ ინფორმაციას ამზადებს ქართულ ლარში (ლარი).

კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე.

ფას-ების შესაბამისად სპეციალური დანიშნულების ფინანსური ინფორმაციის მომზადება მენეჯმენტისგან მოითხოვს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებების გამოყენებას. მსჯელობის საფუძველზე მენეჯმენტმა უნდა გამოიყენოს ყველაზე შესაფერისი სააღრიცხვო შეფასებები.

მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები მოცემულია სპეციალური დანიშნულების ფინანსური ინფორმაციის მე-4 განმარტებით შენიშვნაში.

საქმიანობის უწყვეტობა

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ინფორმაცია მომზადებულია კომპანიის საქმიანობის უწყვეტობის საფუძველზე იმის დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. მიუხედავად იმისა, რომ შპს „პრივატოფისთან“ არსებული სესხის ვადა არის განუსაზღვრელი და იგი წარდგენილია, როგორც მოკლევადიანი ვალდებულება, მენეჯმენტი არ ვარაუდობს, რომ მსესხებელი მოითხოვს მის დაბრუნებას პროგნოზირებად მომავალში. კომპანიის მენეჯმენტსა და მეწილეს სურვილი აქვთ, განაგრძონ კომპანიის საქმიანობა საქართველოში. მენეჯმენტს სჯერა, რომ უწყვეტობის პრინციპის გამოყენება შესაფერისია კომპანიისთვის.

3. სპეციალური დანიშნულების ფინანსური ინფორმაციის ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა

ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკები, რომლებიც გამოყენებულია ამ სპეციალური დანიშნულების ფინანსური ინფორმაციის მომზადებისას, მოცემულია ქვემოთ. აღნიშნული პოლიტიკები ეხება წარდგენილ ყველა წელს, თუ განსხვავებული არ არის განცხადებული.

ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური ინსტრუმენტები, მათი კლასიფიკაციის მიხედვით აღირიცხება რეალური ღირებულებით, თვითღირებულებით, ან ამორტიზებული ღირებულებით, როგორც ქვემოთ არის მოცემული.

ქვემოთ მოცემული ტერმინები გამოყენებულია შემდეგი მნიშვნელობებით:

რეალური ღირებულება არის თანხა, რომლითაც შეიძლება აქტივი გაიყვალოს ან ვალდებულება დაიფაროს საქმის მცოდნე და გარიგების მსურველ მხარეებს შორის „გაშლილი ხელის მანძილის პრინციპით“. საუკეთესო რწმუნება რეალური ღირებულების დასადგენად არის ფასი აქტიურ ბაზარზე. აქტიურია ბაზარი, სადაც მოცემული აქტივით ან ვალდებულებით ოპერაციები საკმარისად ხშირად და საკმარისი მოცულობით სრულდება, რაც ფასების შესახებ ინფორმაციის მოპოვების საშუალებას იძლევა მუდმივად. იმ ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულება, რომლებიც ივაჭრება აქტიურ ბაზარზე დგინდება შესაბამის აქტივზე ან ვალდებულებაზე დადგენილი ფასისა და რაოდენობის ნამრავლი. აღნიშნულს ადგილი აქვს მაშინაც, თუ ბაზარზე ვაჭრობის ყოველდღიური ნორმა არ არის საკმარისი, რომ მოიცვას მთლიანად გასაყიდად განთავსებული რაოდენობა და შეკვეთების რაოდენობის განთავსებამ შეიძლება გავლენა მოახდინოს ერთეულის კოტირებულ ფასზე.

აქტივის თვითღირებულება არის აქტივის შეძენის ან შექმნის დროს გადახდილი ფული ან ფულის ეკვივალენტების ან სხვა სახის საზღაურის რეალური ღირებულების თანხა და მოიცავს საოპერაციო ხარჯებს.

3. სპეციალური დანიშნულების ფინანსური ინფორმაციის ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

ამორტიზებადი ღირებულება არის თანხა, რომლითაც ფინანსური ინსტრუმენტი იყო აღიარებული, ნებისმიერი ძირითადი დაფარვის გამოკლებით, პლუს დარიცხული პროცენტი, ხოლო ფინანსური აქტივებისთვის – ჩამოწერილი გაუფასურების ზარალის გამოკლებით. დარიცხული პროცენტი მოიცავს საწყის აღიარებაზე გადავადებული ოპერაციის ღირებულების ცვეთას და ნებისმიერი პრემიის ან ფასდათმობის ცვეთას, ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით. დარიცხული

საპროცენტო შემოსავალი და დარიცხული საპროცენტი ხარჯი არ არის წარდგენილი ცალცალკე და შედის შესაბამისი საბალანსო მუხლის მიმდინარე ღირებულებაში.

ოპერაციის ღირებულება არის დამატებითი დანახარჯები, რომელიც პირდაპირ მიეკუთვნება ფინანსური ინსტრუმენტების შესყიდვის, შექმნის ან გაყიდვის ღირებულებას. დამატებით დანახარჯებს ადგილი არ ექნება, თუ არ მოხდება ოპერაცია. ოპერაციის თვითღირებულება მოიცავს აგენტებისთვის, კონსულტანტებისთვის, ბროკერებისთვის, დილერებისთვის (თანამშრომლების ჩათვლით, რომლებიც მუშაობენ როგორც გაყიდვის აგენტები), მარეგულირებელი ორგანოებისთვის, ფასიანი ქაღალდების ბირჟაზე გადასახდელ საკომისიოებს, მოსაკრებლებს და გადასახადებს. ოპერაციის თვითღირებულება არ მოიცავს ფასდათმობას, ფინანსურ ხარჯებს ან შიდა ადმინისტრაციულ ან შენახვის ხარჯებს.

ფინანსური აქტივები

ბასს 39-ის ფარგლებში ფინანსური აქტივები კლასიფიცირდება, როგორც დაფარვამდე შენახული ფინანსური აქტივები რეალური ღირებულებით მოგების ან ზარალის, სესხების და მოთხოვნების გათვალისწინებით, ან როგორც გასაყიდად ვარგისი ფინანსური აქტივები. კომპანია ადგენს საკუთარი ფინანსური აქტივების კლასიფიკაციის ტიპს თავდაპირველი აღიარებისას.

დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციები

არაწარმოებული ფინანსური აქტივები ფიქსირებული ან ცალკეულ შემთხვევაში განსაზღვრადი გადახდებით და ფიქსირებული დაფარვის ვადით კლასიფიცირდება, როგორც ფლობილი დაფარვამდე, როდესაც კომპანიას გადაწყვეტილი აქვს და შეუძლია მათი განკარგვა დაფარვამდე.

მოთხოვნები

ეს აქტივები წარმოადგენს არაწარმოებულ ფინანსურ აქტივებს ფიქსირებული ან ცალკეულ შემთხვევაში განსაზღვრადი გადახდებით, რომლებიც არ არის კოტირებული აქტიურ ბაზარზე. ისინი თავდაპირველად აღიარდება რეალურ ღირებულებას დამატებული ოპერაციის ხარჯები, რომლებიც პირდაპირ მიეკუთვნება აქტივების შესყიდვას ან გამოშვებას და საბოლოოდ აისახება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით, გაუფასურების რეზერვის გამოკლებით.

ფინანსური აქტივის აღიარების შეწყვეტა

კომპანია წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას როდესაც: ა) აქტივიდან მისაღები ფულადი სახსრების მიღების საკონტრაქტო უფლებებს ვადა გასდის ან ბ) კომპანია გადასცემს ფინანსური აქტივიდან მისაღები ფულადი სახსრების საკონტრაქტო უფლებებს ან აწყობს გარიგებას (1) ასევე გადასცემს არსებითად ყველა რისკს და აქტივის საკუთრებას ან (2) არსებითად არც გადასცემს და არც იტოვებს ყველა რისკს და გადასცემს საკუთრებას, მაგრამ არა შენარჩუნებულ კონტროლს. კონტროლი შენარჩუნებულია, თუ კონტრაგენტს არ აქვს პრაქტიკული შესაძლებლობა, მიჰყიდოს აქტივი დამოუკიდებელ მესამე მხარეს ამგვარ გაყიდვის ოპერაციაზე დამატებითი შეზღუდვების არსებობის გარეშე.

ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური ვალდებულებები დაკლასიფიცირებულია სხვა ვალდებულებებად. ფინანსური ვალდებულებების საწყისი აღიარება ხდება ოპერაციის დანახარჯებით შემცირებული რეალური ღირებულებით. ფინანსური ვალდებულებების შემდგომი შეფასება ხდება ამორტიზებადი ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის შესაბამისად.

3. სპეციალური დანიშნულების ფინანსური ინფორმაციის ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი არის მეთოდი, რომელიც უზრუნველყოფს ფინანსური ვალდებულების აღრიცხვა ამორტიზებადი ღირებულებით და ანაწილებს საპროცენტო ხარჯებს შესაბამის პერიოდებზე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომელიც ზუსტად ადისკონტირებს მომავალში გადასახდელ ფულად სახსრებს ფინანსური ვალდებულების მომსახურების ვადის განმავლობაში, ან ფინანსური ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულების მოკლე პერიოდის განმავლობაში.

ფინანსური ვალდებულების აღიარების შეწყვეტა

კომპანია ფინანსური ვალდებულებების აღიარებას წყვეტს მაშინ, როდესაც ვალდებულება სრულდება, უქმდება, ან გასდის ვადა, სადაც არსებული ფინანსური ვალდებულება ენაცვლება მეორეს იმავე მსესხებლის მიმართ მნიშვნელოვნად განსხვავებული პირობებით, ან არსებული ვალდებულების პირობები მნიშვნელოვნად იცვლება, ამგვარი ცვლილება, ან მოდიფიკაცია ითვლება თავდაპირველი ვალდებულების აღიარების შეწყვეტად და ახალი ვალდებულების აღიარებად და სხვაობა საბალანსო ღირებულებასა და გადახდილ, ან გადასახდელ ანაზღაურებას შორის აისახება მოგებასა და ზარალში.

გადაფარვა

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები არის გადაფარული და ნეტო თანხითაა წარმოდგენილი ფინანსური მდგომარეობის ინფორმაციაში მხოლოდ მაშინ როდესაც, არის კანონიერი უფლება, რომ აგრეგირდეს აღიარებული თანხები და არის განზრახვა წარდგენილ იქნეს წმინდა თანხით ან გაიყიდოს აქტივი და დაიფაროს ვალდებულება ერთდროულად.

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივების გაუფასურება

ფინანსური აქტივი ან ფინანსურ აქტივთა ჯგუფი გაუფასურებულია და გაუფასურების ზარალი წარმომოხილია, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არსებობს ობიექტური მტკიცებულება გაუფასურებისა (რომელიც შეიძლება საიმედოდ შეფასდეს), გამოწვეული აქტივის საწყისი შეფასების შემდგომ მომხდარი ერთი ან რამდენიმე მოვლენის შედეგად („ზარალის გამომწვევი მოვლენა“) და თუ ამ მოვლენამ (თუ მოვლენებმა) გავლენა იქონია ფინანსური აქტივიდან ან ფინანსურ აქტივთა ჯგუფიდან ნაგარაუდებ ფულად ნაკადებზე. ძირითადი ფაქტორები, რომელიც გაითვალისწინება ფინანსური აქტივის გაუფასურების შეფასებისას არის ვადაგადაცილება და უზრუნველყოფის საგნის რეალიზაციის შესაძლებლობა.

ფინანსური აქტივის გაუფასურების შეფასებისას გაითვალისწინება შემდეგი ფაქტორები:

- დებიტორის ფინანსური ინფორმაციიდან ჩანს, რომ მას აქვს ფინანსური სიმძნელები;
- როდესაც დებიტორი იწყებს გაკოტრების ან ფინანსური რეორგანიზაციის პროცესს;
- ეროვნული და ადგილობრივი ეკონომიკური ფაქტორების გავლენის გამო დავალიანების დროული გადაუხდელობა;
- მნიშვნელოვნად შემცირდა უზრუნველყოფის საგნის ღირებულება გარე ფაქტორების გამო.

თავდაპირველად მენეჯმენტი აფასებს არსებობს თუ არა თითოეული აქტივის გაუფასურების ობიექტური საფუძველი. თითოეული აქტივის ჩართვა ხდება ფინანსური აქტივების იმ ჯგუფში, რომელთაც გააჩნიათ ანალოგიური საკრედიტო რისკები და ამ ფინანსური აქტივების ჯგუფის შეფასება გაუფასურებასთან მიმართებაში ხდება ერთობლივად. აქტივები, რომელთა შეფასება გაუფასურებასთან მიმართებაში ხდება ინდივიდუალურად და რომელთათვისაც ხდება გაუფასურების ზარალის აღიარება, არ არის ჩართული აქტივების გაუფასურების კოლექტიური შეფასების პროცესში.

ფინანსური აქტივების ჯგუფისთვის, რომელიც ჯგუფურად არის გაუფასურებული, მომავალი ფულადი ნაკადები ფასდება წარსული გამოცდილების საფუძველზე. გაითვალისწინება ვადაგადაცილებული თანხების ამოღება, ამასთანავე ის მიმდინარე ფაქტორები, რომელსაც ადგილი არ ქონია წარსულში, და გამოირიცხება ის ფაქტორები, რომლებსაც ადგილი ქონდა წარსულში და

3. სპეციალური დანიშნულების ფინანსური ინფორმაციის ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

მიმდინარე პერიოდში აღარ აქვს ადგილი. იმ შემთხვევაში თუ მოხდება დებიტორული დავალიანების რესტრუქტურისაცა, გაუფასურების განსაზღვრისთვის გამოიყენება თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთი, რომლითაც ხდება მომავალი ფულადი ნაკადების დადისკონტირება.

გაუფასურების ხარჯი აღირიცხება გაუფასურების რეზერვის ანგარიშზე, რომელიც ამცირებს ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულებას მომავალი ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულებამდე (რომელიც არ მოიცავს მომავალ საკრედიტო დანაკარგებს), რომელიც დადისკონტირებულია თავდაპირველად განსაზღვრული ეფექტური საპროცენტო განაკვეთით. მომავალი ფულადი ნაკადების შეფასებისას გაითვალისწინება უზრუნველყოფის საგნის რეალური ღირებულება თუ მისი რეალიზაცია მოსალოდნელია.

ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები არის ისეთი აქტივები, რომლებიც დაუბრკოლებლად გადაიხდება ნაღდი ფულის წინასწარ ცნობილ ოდენობაზე და მათი ღირებულების შეცვლის რისკი უმნიშვნელოა. ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს, ფულად სახსრებს საბანკო ანგარიშებზე და მოთხოვნამდე დეპოზიტებს, რომელთა ვადიანობა არის 3 თვემდე. 3 თვეზე მეტი ვადით შეზღუდული სახსრები არ ჩაირთვება ფულში და ფულის ეკვივალენტებში.

მარაგები

მარაგების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. თვითღირებულება შედგება მარაგების შესყიდვისა, დანიშნულების ადგილამდე მიყვანისა და მათ გასაყიდად საჭირო მდგომარეობამდე მიყვანის ყველანაირი დანახარჯისგან.

ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები

ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები აღირიცხება თვითღირებულებით, რომელიც შემცირებულია ნებისმიერი აკუმულირებული ცვეთის/ამორტიზაციის და გაუფასურების ზარალის თანხით, არსებობის შემთხვევაში.

თავდაპირველი აღიარების შემდგომი ხარჯები მიეკუთვნება აქტივების მიმდინარე საბალანსო ღირებულებას ან აღიარდება ცალკე აქტივად, მხოლოდ მაშინ, როდესაც მოსალოდნელია მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემოძენა კომპანიაში და ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა. შეცვლილი აქტივის ღირებულება ჩამოიწერება. რემონტისა და შეკეთების ყველა სხვა დანახარჯი აღიარდება იმ საანგარიშო პერიოდის ხარჯად, რომელსაც იგი ეკუთვნის.

ცვეთის/ამორტიზაციის დარიცხვა ხდება ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების საბალანსო ღირებულებაზე, იმისთვის რომ მოხდეს აქტივების გახარჯვა მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. ცვეთის/ამორტიზაციის ხარჯის დაანგარიშება, ყველა ჯგუფის ძირითადი საშუალებისა და არამატერიალური აქტივისთვის ხდება წრფივი მეთოდით, შემდეგი სასარგებლო მომსახურების ვადების მიხედვით:

ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა (წელი)
მიწა	არ ერიცხება ცვეთა
შენობა-ნაგებობები	7-25
მანქანა-დანადგარები	3-15
ოფისის აღჭურვილობა	4-7
ავიჯი და სხვა ინვენტარი	2-25
გზის საფარი და კეთილმოწყობა	10
არამატერიალური აქტივები	10

3. სპეციალური დანიშნულების ფინანსური ინფორმაციის ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

შეკეთებისა და განახლების დანახარჯები აღიარდება პერიოდის საოპერაციო ხარჯებად, მათი გაწევის თანავე, სანამ ისინი აკმაყოფილებენ კაპიტალიზების მოთხოვნებს.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს კომპანია განიხილავს ძირითადი საშუალებებსა და არამატერიალურ აქტივების ნარჩენ ღირებულებებსა და სასარგებლო მომსახურების ვადებს და საჭიროების შემთხვევაში აკორექტირებს მათ.

იმ შემთხვევაში, თუ აქტივის აღდგენითი ღირებულება მის საბალანსო ღირებულებაზე ნაკლებია, აქტივის საბალანსო ღირებულება მცირდება მის აღდგენით ღირებულებამდე.

საინვესტიციო ქონება

კომპანია საინვესტიციო ქონებას აფასებს თვითღირებულებით. თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ფასსა და ყველა უშუალოდ მიკუთვნებად დანახარჯებს.

საინვესტიციო ქონებას კომპანია აქტივად აღიარებს, როდესაც: ა) მოსალოდნელია, რომ საწარმო მიიღებს ამ ქონებასთან დაკავშირებულ მომავალ ეკონომიკურ სარგებელს; ბ) შესაძლებელია საინვესტიციო ქონების თვითღირებულების საიმედოდ შეფასება. საინვესტიციო ქონება აღიარდება ისტორიულ ღირებულებას, დაგროვილ ცვეთასა და გაუფასურების ზარალს შორის სხვაობის თანხით. ცვეთა ერიცხება აღნიშნულ აქტივთა ჯგუფს, მთლიანად მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. კომპანია იყენებს ცვეთის წრფივი დარიცხვის მეთოდს. საინვესტიციო ქონების სასარგებლო მომსახურების ვადა განისაზღვრება 20-40 წლით. კომპანიის საკუთრებაში არსებულ მიწას ცვეთა არ ერიცხება.

საინვესტიციო ქონების აღიარება წყდება მისი გასხვისებისას ან მაშინ, როდესაც მისი შემდგომი გამოყენებიდან მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარაა მოსალოდნელი. მოგება ან ზარალი საინვესტიციო ქონების გასვლის შედეგად განისაზღვრება საბალანსო ღირებულებისა და მიღებული წმინდა ანაზღაურების სხვაობით და ჩაირთვება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

გუდვილის გარდა სხვა აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშო პერიოდის ბოლოს კომპანია მიმოიხილავს საკუთარ მატერიალურ აქტივებს, რათა განსაზღვროს, ადგილი ხომ არ აქვს გაუფასურების ინდიკატორებს. თუ არსებობს ასეთი სახის ინდიკატორი, ამ აქტივის აღდგენითი ღირებულება შეფასებულია მისი გაუფასურების ზარალის (არსებობის შემთხვევაში) გასაანგარიშებლად. თუ შეუძლებელია ინდივიდუალური აქტივის გაუფასურების ზარალის შეფასება, მაშინ კომპანია აფასებს ფულის მაგენერირებელ იმ ერთეულს, რომელსაც ეკუთვნის აღნიშნული აქტივი. თუ გონივრულად და თანმიმდევრულად არის შესაძლებელი განისაზღვროს გადანაწილების საფუძველი, ადმინისტრაციული აქტივებიც მიეკუთვნება ფულის მაგენერირებელ ერთეულს, ან წინააღმდეგ შემთხვევაში მათი მიკუთვნება ხდება ფულის მაგენერირებელ ყველაზე მცირე იმ ერთეულზე, რომლისთვისაც არის გონივრულად და თანმიმდევრულად შესაძლებელი განისაზღვროს გადანაწილების საფუძველი.

აღდგენითი ღირებულება არის აქტივის გაყიდვის დანახარჯებით შემცირებულ რეალურ ღირებულებასა და აქტივის გამოყენების ღირებულებას შორის უდიდესი. იმ შემთხვევაში, თუ აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) ღირებულება მის საბალანსო ღირებულებაზე ნაკლებია, აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) საბალანსო ღირებულება მცირდება მის აღდგენით ღირებულებამდე. გაუფასურების დანაკარგები აღიარებას ექვემდებარება მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ინფორმაციაში.

გაუფასურების ზარალის აღდგენის დროს, აქტივის საბალანსო ღირებულება (ან ფულის მაგენერირებელი ერთეული) იზრდება აღდგენით ღირებულებამდე, მაგრამ ისე, რომ აღდგენითმა ღირებულებამ არ გადააჭარბოს აქტივის (ფულის მაგენერირებელი ერთეულის) საბალანსო ღირებულებას, წინა პერიოდებში გაუფასურებამდე.

გაუფასურების ზარალის აღდგენა მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ინფორმაციაში აღიარდება მოხდენისთანავე.

3. სპეციალური დანიშნულების ფინანსური ინფორმაციის ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

დაბეგვრა

მოგების გადასახადის ხარჯი წარმოადგენს პერიოდის მოგების მიმდინარე საგადასახადო ვალდებულებების ჯამს. მიმდინარე გადასახადელი გადასახადი დაფუძნებულია დასაბეგრ მოგებაზე. 2017 წლის 1 იანვრიდან მოგების გადასახადის ახალი მოდელი შევიდა ძალაში. ცვლილებების შედეგად მოხდა ერთობლივი შემოსავლის დაბეგვრის გადავადება, გაუნაწილებელი მოგების დივიდენდის სახით გაცემამდე. მოგების გადასახადის განაკვეთი არ იცვლება და ძველი მოდელის მსგავსად 15% დარჩა. წლიურად დაბეგვრის ნაცვლად, გადასახადის დარიცხვა ხდება ყოველთვიურად. მოგების გადასახადის ახალი მოდელის მიხედვით დაბეგვრის ობიექტს წარმოადგენს შემდეგი ოპერაციები/გადახდები: დივიდენდის გაცემა, სხვაობა კონტრაქტის ღირებულებასა და საბაზრო ფასს შორის, ხარჯები, რომლებიც დაკავშირებული არ არის ეკონომიკურ საქმიანობასთან, საჩუქრები, წარმომადგენლობითი ხარჯები ლიმიტს ზემოთ. მოგების გადასახადის ახალი მოდელის სპეციფიკიდან გამომდინარე საგადასახადო და ფინანსურ ბაზებს შორის სხვაობა არ გვაქვს. შესაბამისად, არ წარმოიქმნება გადავადებული გადასახადი.

ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები

პირობითი ვალდებულებები არ აისახება სპეციალური დანიშნულების ფინანსურ ინფორმაციაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან, და შესაძლებელია ამ ვალდებულების საიმედოდ შეფასება. პირობითი ვალდებულებების შესახებ ინფორმაცია მოცემულია სპეციალური დანიშნულების ფინანსური ინფორმაციის განმარტებით შენიშვნებში, გარდა ისეთი პირობითი ვალდებულებებისა, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან არ არის მოსალოდნელი.

ფინანსურ ინფორმაციაში არ აისახება პირობითი აქტივები. მაგრამ ისეთი ფინანსური აქტივების შესახებ ინფორმაცია, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა კომპანიაში შესაძლებელია, აისახება განმარტებით შენიშვნებში. იმ შემთხვევაში, თუ კომპანიას აქვს რწმუნება, რომ ეკონომიკური სარგებელი შემოვა კომპანიაში, მაშინ მასთან დაკავშირებული აქტივი და შემოსავალი აისახება იმ პერიოდის სპეციალური დანიშნულების ფინანსურ ინფორმაციაში, როდესაც ადგილი ქონდა შეფასების ცვლილებას.

ანარიცხი წარმოადგენს ვალდებულებას, რომელიც დაკავშირებულია რაოდენობრივ და დროით განუსაზღვრელობებთან. ვალდებულება წარმოადგენს კომპანიის მიმდინარე ვალდებულებას, რომელიც წარმოიშვა წარსული მოვლენის შედეგად, და რომლის დაფარვა გამოიწვევს კომპანიიდან ეკონომიკური სარგებლის გასვლას. მავალდებულებელი მოვლენა არის მოვლენა, რომელიც წარმოშობს სამართლებრივ ან კონსტრუქციულ ვალდებულებას, რაც გულისხმობს, რომ კომპანიას არ გააჩნია სხვა რეალური ალტერნატივა, და მან უნდა დაფაროს თავისი ვალდებულებები. სამართლებრივი ვალდებულება გამომდინარეობს:

- (ა) გარიგებიდან (ხელშეკრულებაში დაფიქსირებული ან ნაგულისხმევი პირობების გათვალისწინებით);
- (ბ) კანონმდებლობიდან; ან
- (გ) სხვა სამართლებრივი ქმედებიდან.

კონსტრუქციული ვალდებულება გამომდინარეობს კომპანიის ქმედებიდან, სადაც:

- (ა) წარსულში დადგენილი პრაქტიკიდან, კომპანიის მიერ გამოქვეყნებული პოლიტიკიდან ან სპეციფიკური მიმდინარე ანგარიშგებიდან გამომდინარე, კომპანია მიანიშნებს სხვა მხარეებს, რომ იგი იღებს გარკვეულ პასუხისმგებლობებს; და
- (ბ) შედეგად, მესამე მხარეს კომპანიასთან მიმართებაში გააჩნია გარკვეული მოლოდინი, რომ იგი შეასრულებს ამ პასუხისმგებლობებს.

მომსახურებიდან მიღებული შემოსავლებისა და მომსახურებაზე გაწეული ხარჯების აღიარება

შემოსავლები და ხარჯები აღიარდება მოგებაში ან ზარალში დარიცხვის მეთოდით, იმ პერიოდში, როდესაც მოხდა შესაბამისი მომსახურების გაწევა/მიღება, მომსახურების გაწევის/მიღების

3. სპეციალური დანიშნულების ფინანსური ინფორმაციის ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

პროპორციულად. ამასთან აღიარება ხდება მაშინ, როდესაც არის რწმუნება იმის შესახებ, რომ ოპერაციებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებელი შემოვა კომპანიაში ან გავა კომპანიიდან და შემოსავლის/ხარჯის ოდენობა საიმედოდ იქნება შეფასებული.

ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი

ხელფასები, ბონუსები და არამონეტარული სარგებელი აღიარდება დარიცხვის მეთოდით იმ პერიოდში, როდესაც შესაბამისი სერვისი მიიღო კომპანიამ დასაქმებულისგან.

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები და სპეციალური დანიშნულების ფინანსური ინფორმაციის ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება სპეციალური დანიშნულების ფინანსურ ინფორმაციაში. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება სპეციალური დანიშნულების ფინანსური ინფორმაციის თანდართულ შენიშვნებში.

უცხოური ვალუტით განხორციელებული ოპერაციები

თავის ოპერაციებში კომპანია ფუნქციონალურ ვალუტად იყენებს ქართულ ლარს, რომელსაც მნიშვნელოვანი გავლენა აქვს კომპანიის ოპერაციებზე. ამგვარად, მოცემული სპეციალური დანიშნულების ფინანსური ინფორმაციისათვის შეფასების ვალუტად კომპანია იყენებს ქართულ ლარს.

უცხოურ ვალუტაში ასახული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად, წლის ბოლოსათვის.

კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორისი სხვაობები აისახება მოგების ან ზარალის ინფორმაციაში. უცხოურ ვალუტაში გამოხატული შედეგები აღირიცხება ოპერაციის განხორციელების დღეს არსებული გაცვლის კურსის შესაბამისად. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს კონვერტაცია არ ეხება არამონეტარულ მუხლებს, კაპიტალ ინვესტიციების გათვალისწინებით. საკურსო სხვაობის ეფექტი კაპიტალ ინვესტიციების რეალურ ღირებულებაზე აღირიცხება, როგორც რეალური ღირებულებით მიღებული მოგების ან ზარალის ნაწილი.

უცხოური ვალუტით მიღებული არამონეტარული მუხლები შეფასებულია საწყისი აღიარების დღის კურსით.

2017 წლის 31 დეკემბერს და 1 იანვარს უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული ბოლო გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

	საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი აშშ დოლარი
კურსი 2017 წლის 31 დეკემბრისთვის	2.5922
კურსი 2017 წლის 1 იანვრისთვის	2.6468

ახალი ან განახლებული სტანდარტების მიღება და ინტერპრეტაციები

ა) 2017 წლის პირველი იანვრის შემდეგ ძალაში მყოფი ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და შესწორებები:

არც ერთ ახალ სტანდარტს, ინტერპრეტაციას ან შესწორებას, რომელიც ეფექტურია 2017 წლის 1 იანვრიდან არ ჰქონია ორგანიზაციის სპეციალური დანიშნულების ფინანსურ ინფორმაციაზე მნიშვნელოვანი ზეგავლენა.

3. სპეციალური დანიშნულების ფინანსური ინფორმაციის ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

ბ) ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და შესწორებები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ ჯერ არ არის ძალაში შესული:

გამოცემულია ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომელთა დაცვა სავალდებულოა 2018 წლის 1 იანვრიდან და რომლებიც კომპანიას არ დაუნერგავს ნაადრევად. ქვემოთ მოცემულია სია იმ სტანდარტებისა, რომლებზეც კომპანია დასაბუთებულად ფიქრობს, რომ იქნება გამოყენებადი სამომავლოდ, შესაბამისად, გეგმავს დანერგვას მათი ძალაში შესვლის თარიღიდან.

ფასს 15 – შემოსავალი კლიენტებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან.

2014 წლის მაისში გამოიცა ფასს 15, რომელიც მეწარმე პირებს კლიენტებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან მიღებული შემოსავლების აღრიცხვის ერთიან, სრულ მოდელს სთავაზობს. ძალაში შესვლის შემდეგ ფასს 15 ჩაანაცვლებს შემოსავლის აღიარების არსებულ პრინციპს, მათ შორის ბასს 18 – შემოსავლები, ბასს 11 – სამშენებლო კონტრაქტები და მათთან დაკავშირებულ ინტერპრეტაციებს.

ფასს 15-ის ამოსავალი პრინციპი იმაში მდგომარეობს, რომ პირმა შემოსავალი ისე უნდა აღიაროს, რომ ამით ასახოს კლიენტებისათვის ნაკისრი საქონლისა თუ მომსახურების გადაცემა ისეთი თანხით, რომელიც ასახავს ანაზღაურებას, რის მიღებასაც პირი ვარაუდობს ამ საქონლისა და მომსახურების სანაცვლოდ. კერძოდ, სტანდარტი გვთავაზობს ერთ, პრინციპებზე დაფუძნებულ, ხუთეტაპიან მოდელს, რომელიც კლიენტებთან გაფორმებულ ყველა კონტრაქტზე ვრცელდება:

- კლიენტთან კონტრაქტის იდენტიფიცირება;
- საკონტრაქტო ვალდებულებების დადგენა;
- ტრანზაქციის ფასის განსაზღვრა;
- ტრანზაქციის ფასის მიკუთვნება საკონტრაქტო ვალდებულებასთან;
- შემოსავლის აღიარება, როდესაც (ან თუ) პირი საკონტრაქტო ვალდებულებას შეასრულებს.

ფასს 15-ის მიხედვით, საწარმო შემოსავალს აღიარებს საკონტრაქტო ვალდებულების შესრულებისას, ანუ მაშინ, როდესაც შესაბამის ვალდებულებასთან დაკავშირებულ საქონელსა თუ მომსახურებაზე “კონტროლი” კლიენტს გადაეცემა. უფრო დირექტიული ხასიათის ინსტრუქცია დამატა ისეთ თემებს, როგორებიცაა, მაგალითად, შემოსავლის აღიარების მომენტი, ცვლადი ანაზღაურების აღრიცხვა, კონტრაქტის შესრულებისა და მიღების ხარჯები და სხვა მსგავსი ასპექტები. ასევე შემოდიხ შემოსავლის განმარტების ახალი მოთხოვნები.

კომპანიის ხელმძღვანელობა არ ვარაუდობს, რომ აღნიშნული სტანდარტის გამოყენებას კომპანიის სპეციალური დანიშნულების ფინანსურ ინფორმაციაზე მნიშვნელოვანი ზეგავლენა ექნება.

ფასს 9 - ფინანსური ინსტრუმენტები - ფასს 9 ახალ მოთხოვნებს აწესებს ფინანსური აქტივების აღიარების, კლასიფიკაციისა და გაზომვის თვალსაზრისით. 2014 წლის ივლისში ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭომ გამოაქვეყნა ფასს 9-ის საბოლოო ვერსია. ის ჩაანაცვლებს ბასს 39-ს, რომელიც უკავშირდება ფინანსური ინსტრუქციების კლასიფიკაციას და გაზომვას.

ფასს 9 ინარჩუნებს, მაგრამ ამარტივებს შერეულ გაზომვის მოდელს და აწესებს სამ ძირითად გაზომვის კატეგორიას ფინანსური აქტივებისთვის: ამორტიზებადი ღირებულება, რეალური ღირებულება სხვა სრულ შემოსავალში და რეალური ღირებულება მოგებასა და ზარალში.

